ჩინეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები

ამზა ჩარგაზია, მარიამ ტლაშაძე,
მარიამ ცაბაძე, ლევან ტლაშაძე,
ნესტან ჯაჭვლიანი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობები წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც ამავდროულად საკუთარი მნიშვნელობით გლობალურია და დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებზეც კი. ეკონომიკური კრიზისის ფარგლებში ურთიერთდახმარება და შეხვედრები უმაღლესი პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლებისა — ეს პროცესი გახლავთ ამ გლობალური ფენომენის დამახასიათებელი. გარდა ურთიერთდახმარებისა, ორივე მხარე აქტიურად განიხილავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მოცემული ინტერაქცია ჩინეთ-ევროკავშირს შორის ძირეული მნიშვნელობისაა როგორც დღევანდელი, ასევე სამომავლო პერსპექტივებისთვის. ყოველივე ამის ნაწილი საქართველოც გახლავთ, რაც საკითხს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. საქართველო, როგორც გზა ევროპა-აზიას შორის, სტრატეგიული მნიშვნელობისაა და ამ ინტერაქციის შედეგად მოგების მიღების ალბათობაც დიდია.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ევროკავშირი, მსოფლიო სავალუტო ფონდი, CIC, ვალი, სამიტი.

შესავალი

ევროკავშირისა (ზოგადად ევროპის) და ჩინეთის ურთიერთობებს აქვს გრძელი და საინტერესო ისტორია. პირველებმა ევროპელებმა შეაღწიეს ჩინეთში მე-13 საუკუნეში და მათი მიზანი

ქრისტიანობის ქადაგება იყო. თუმცა მას შემდეგ, რაც XIXს.-ის 40-იან წლებში ჩინეთმა შექმნა ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მოწინავე ცივილიზაცია მსოფლიოში, გახდა ევროპისა და იაპონიის სამიზნე. ბოლო ათასწლეული ჩინეთისთვის იყო დამცირებისა და უცხოური ბატონობის წლები. მას შემდეგ, რაც დაფუძნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა (1945წ.), მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მე-20 საუკუნემდე ქვეყნის განვითარება სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. "დიდმა ნახტომმა" და "კულტურულმა რევოლუციამ" ხელი შეუწყვეს ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ძირითადი ნაწილი

1970-იან წლებში ჩინეთი ევროპას განიხილავდა მესამე სამყაროს კონტექსტში, რომლის თანახმადაც ის იყო "მეორე მსოფლიო". ჩინეთის ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ ალიანსს შექმნიდა მესამე სამყაროსთან ერთად, რომელიც მათ აძლევდათ შესაძლებლობას, ებრძოლათ "პირველი სამყაროს" (აშშ და სსრკ) წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც 1973 წლის იანვარში ევროკავშირს შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია, კავშირის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა ჩინეთისთვის. ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობების დამყარების პირველი წლები არც ისე სწრაფად ვითარდებოდა. ჩინეთი არ იყო "გამოჯანმრთელებული" კულტურული რევოლუციის შედეგებისგან და ჯერაც არ იყო შესული ეკონომიკური რეფორმის პერიოდში. ევროკავშირის საელჩო პეკინში გაიხსნა მხოლოდ 1988 წლის მაისში და მალევე ურთიერთობები მკვეთრად გართულდა იმიტომ, რომ დასავლეთში, ტიანამენის მოედანზე, საპროტესტო აქციით გამოვიდნენ (1989 წლის მაისში). 1989 წლის ივნისში მიიღეს გადაწყვეტილება ჩინეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შეჩერების შესახებ. 1990 წლიდან ევროპამ აქტიურად დაიწყო ამ საკითხის დაყენება, რომ ადგილი აქვს ადამიანის უფლებების დარღვევას (Bersick, Stokhof, & van der Velde, 2006).

ბოლო წლების განმავლობაში ჩინეთისა და ევროკავშირის

ურთიერთობები მნიშვნელოვნად განვითარდა "სამმაგი ნახტომის" შესრულებით, რომელიც გულისხმობდა ყოვლისმომცველ კონსტრუქციულ პარტნიორობას. პოლიტიკური ურთიერთობები ორ მხარეს შორის კიდევ უფრო მომწიფდა, როცა თითოეულმა მხარემ გამოაქვეყნა პოლიტიკური დოკუმენტი ორმხრივი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ, ამის შემდეგ კი დაიწყო მოლაპარაკებები. ორივე მხარე ცდილობს, ერთობლივი ძალებით გადალახოს სირთულეები ჯანსაღი გზებით. ჩინეთმა და ევროკავშირმა მიაღწიეს უზარმაზარ შედეგებს ეკონომიკურ, სავაჭრო, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ სფეროებში, რომლებიც მხარეების დაახლოების ინტერესებში შედიოდა. ჩინეთი და ევროკავშირი არიან თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ძალები, რომლებიც ყოველდღიურად აფართოებენ თავიანთ თანამშრომლობას. შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები არის ერთგვარი მოდელი დამოუკიდებელი და თვითმმართველი განვითარებისა, რომლის საფუძველში დევს თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა(Isakova, 2014).

ამჟამად, გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი გავლენის ფონზე ჩინეთისა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებში შეინიშნება უარყოფითი ფონი, ეს კი რთული მომენტია ორივე მხარისთვის. ერთობლივ დეკლარაციაში გამოცემულია, რომ ჩინეთი და ევროკავშირი ხელს შეუწყობენ ლიბერალურ გამარტივებულ ვაჭრობას და ინვესტიციებს, შეინარჩუნებენ ღია, თავისუფალ და სამართლიან გარემოს სავაჭრო და საინვესტიციო სფეროებში, რათა ერთობლივად შექმნან კომერციული გარემო. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩინეთი იკავებს მყარ პოზიციებს გარე სამყაროსთან, რათა აღადგინოს გლობალური ეკონომიკური ზრდა. ეს კი ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრობლობის ტენდენციებზე ჩინეთსა და ევროკავშირს შორის დადებითად აისახება. ევროკავშირს აქვს მკაფიო უპირატესობა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაში. ჩინეთის უპირატესობა გამოიხატება ძირითადად შრომის ინტენსიური პროდუქციით, რომელიც ზოგავს დიდ ხარჯებს ევროპის ბიზნეს წრეებსა და მომხმარებლებს შორის. ყოველდღიურად მზარდი ჩინეთის ბაზარი წარმოადგენს

უზარმაზარ საწარმოო შესაძლებლობებს ევროკავშირთან. მეორე სავაჭრო და ეკონომიკური მაღალი დონის დიალოგი ჩინეთსა და ევროკავშირს შორის შედგა ბრიუსელში. 2005 წელს შესრულდა 30 წლისთავი ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობისა. წლების განმავლობაში ეკონომიკური კავშირები და პოლიტიკური კონტაქტები კიდევ უფრო გაიზარდა. ამჟამად მშპ-ს მოცულობა წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს სისტემას გლობალურ ეკონომიკაში. მომავალში ჩინეთი გადაიქცევა ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად მსოფლიო პოლიტიკაში. ევროკავშირთან ურთიერთობები შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მთელი საერთაშორისო სისტემის თანამშრომლობას და განვითარებას(Panova, 2012).

ევროკავშირისა და ჩინეთის ლიდერების მე-11 სხდომა წარმატებით გაიმართა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში. მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას შემდგომი განვითარების, ყოვლისმომცველ სტრატეგიული პარტნიორობისა და ერთობლივი ბრძოლისა გლობალური და ეკონომიკური კრიზისის და კლიმატის ცვლილებების სფეროებში. ეს შეხვედრა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი, ღრმა და მდგრადი ურთიერთობების განვითარებას ჩინეთსა და ევროკავშირს შორის. ჩინურმა მხარემ განაცხადა, რომ ორივე მხარემ უნდა შენარჩუნოს პასუხისმგებლობა და ნდობა, ხელი შეუწყოს სტაბილურ, ყოვლისმომცველ სტრატეგიულ პარტნიორობას ჩინეთსა და ევროკავშირს შორის. მხარეებმა უკვე შექმნეს 50 მექანიზმი პოლიტიკური დიალოგებისა და კონსულტაციებისა სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ენერგეტიკულ სფეროში. კერძოდ, 2008 წელს ვაჭრობის მოცულობამ ორ მხარეს შორის შეადგინა 425.6 მლრდ. დოლარი, რაც 19.5%-ით მეტია 2007 წელთან შედარებით (Nosov, 2009).

თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ ჩინური კომპანიების ევროპულ ბაზარზე დაარსება ორივე მხარის ინტერესებში შედის. ძლიერი კონკურენცია და რთული პროცედურები ჩინეთს აიძულებს, რომ კომპანიები ლონდონში, პარიზსა და ფრანკფურტში დააარსოს. ამავე დროს, კომპანიების შექმნის ახალი წესი ჩინეთში ხდება უფრო რაციონალური და მიმზიდველი. 2013 წლის 5-6 ნოემბერს

ლაოსის სამიტზე ევროპისა და აზიის 52 წარმომადგენელმა განიხილა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, მათ შორის ეკონომიკური სიტუაცია მსოფლიოში და ევრო-აზიურ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ყველაზე აქტუალური პრობლემა — ევროზონოს კრიზისის შენელება და ეკონომიკური ზრდა ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის ოქტომბერში ჩინეთმა აჩვენა დადებითი დინამიკა შიდა მომხმარებლით, ევროკავშირი რჩება უდიდესი სამომხმარებლო მხარე ჩინური პროდუქციისა. ასე რომ, თუ შემცირდა ევროკავშირის სამომხმარებლო მოთხოვნები, ჩინეთის ეკონომიკა აუცილებლად შენელდება.

გასაკვირი არ არის, რომ სამიტის დროს ჩინეთის წარმომადგენლები ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ აუცილებლად უნდა გაძლიერდეს ევროზონის ეკონომიკა. თუმცა, მათ ასევე შეშფოთება გამოთქვეს იმაზე, რომ ევროპული ობლიგაციების შეძენა შეიძლება დამღუპველი იყოს და საბოლოო ჯამში ბევრი ვალი მოგროვდეს, რომლის დაფარვასაც ვერასდროს შეძლებენ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთის კომპანიების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებს ძალიან ფართო მასშტაბები აქვთ, აქედან გამომდინარე, რა გამოსავალი შეიძლება მოეძებნოს მას? ამ კითხვაზე პასუხი ცხადია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ). სსფ უკვე ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი დამაფინანსებელი წყაროა, მაგრამ სანამ ჩვენ ვისაუბრებთ ახალი დახმარების პაკეტებზე, საჭიროა ბიუჯეტის ფონდის გაზრდა, ამბობს სსფ-ს დირექტორი, ქრისტიან ლაგარდი.

ევროკავშირსა და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობების აღწერისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ასევე ის გარემოს დაცვის პრობლემები, რომლებიც თან ახლავს ეკონომიკურ ზრდას. მაგალითად, ბრიუსელში ავიაკომპანიებმა დააწესეს გადასახადი ნახშირბადის გამოყოფისთვის, მაგრამ ჩინეთი ამის გადახდაზე უარს ამბობს. ჩინეთის მასმედიის ინფორმაციით, ევროკავშირი და ჩინეთი ახორციელებენ 175 მლნ. ევროდ შეფასებულ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ორი უდიდესი მდინარის, იანძისა და ყვითელი მდინარის გაწმენდას. 5-წლიანი პროექტი მოიცავს დაბინძურების კონტროლსა და საზოგადოებისთვის სა-

თანადო ინფორმაციის მიწოდებას. ევროკავშირის წილი ამ პროექტში 25 მილიონამდე ევროა, რასაც ბრიუსელი გრანტების სახით გასცემს. მსოფლიო ბანკი 80-მილიონიან კრედიტს გაიღებს, ჩინეთზე კი 70 მილიონი ევრო მოდის. ჩინეთში მძიმე მდგომარეობაა სწრაფი ინდუსტრიალიზაციის შედეგად მდინარეების დაბინძურების მხრივ (Radio Liberty - Georgia, 2007).

როგორც აღინიშნა, ჩინეთი არის ევროკავშირის მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი აშშ-ს შემდეგ, ხოლო ევროკავშირი ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი და უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიების წყაროა. ჩინეთი გახდა ევროკავშირის საექსპორტო ბაზრის პარტნიორი ყველაზე მაღალი ტემპებით, მაგრამ ყურადღების ცენტრშია ვალების კრიზისი. სამიტზე ცენტრალური ადგილი დაიკავა ჩინეთის დახმარებამ, რათა ევროკავშირმა თავი დააღწიოს კრიზისს. ამ მიზნით, ჩინეთს ეწვია გერმანიის კანცლერი და ევროკავშირის დე ფაქტო ლიდერი, ანგელა მერკელი. მან მოუწოდა ჩინეთს, რომ მას არ უნდა შეეპაროს ეჭვი ევროს სტაბილურობაში და აღნიშნა, რომ ევროს კრიზისი არ არის, ეს არის გადაჭარბებული ვალებისა და კონკურენტუნარიანობის კრიზისი. მან პეკინის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიაში სიტყვის გამოსვლისას აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმება ევროპული ფისკალური პაქტით გააძლიერებს და დაამყარებს საფინანსო დისციპლინას ევროზონის რამდენიმე ქვეყანაში და გააძლიერებს კონკურენტუნარიანობას. მერკელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი ძლიერი გახდა ევროს მეშვეობით და ეს კრიზისი უფრო გააერთიანებს ევროპას. ამავე დროს, კანცლერმა აღნიშნა, რომ სავალუტო კავშირის გასაძლიერებლად ევროკავშირმა უნდა იფიქროს საერთო პოლიტიკური სტრუქტურით. ანგელა მერკელმა ასევე გამოთქვა რწმენა, რომ ჩინეთს შეუძლია, დახმარება გაუწიოს ევროკავშირს, რომ დაარეგულიროს ევროზონის ვალების კრიზისი. კანცლერმა ასევე არ დაივიწყა ფედერაციული გერმანიის კონკრეტულ ინტერესებზე საუბარი. მან აღნიშნა, რომ გერმანიის ბაზარი ღიაა ჩინეთის ბიზნესისთვის და მოითხოვა ანალოგიური მიდგომა ჩინეთისა და გერმანიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებისგან(Vorobyova, 2010).

სამიტამდე ერთი დღით ადრე ევროპელები შეწუხდნენ ჩინეთის სუვერენული ფონდის საინვესტიციო კორპორაციის პრეზიდენტის, ლოუ ძივეის განცხადების შემდეგ. ფორუმზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ CIC არ აპირებს, შეიძინოს ევროპული მთავრობის ობლიგაციები, რადგან შეძენის იმედი სწორედ ევროპელებს აქვთ. თუმცა, CIC არის ერთერთი უმსხვილესი დამოუკიდებელი და მდიდარი ფონდი სხვა ფონდებისგან განსხვავებით, რომლის კონტროლის ქვეშ არის 410 მლრდ. დოლარი, რომელიც ამავდროულად ძალიან დაინტერესებულია, შეიძინოს უძრავი ქონება ევროპაში. რაც შეეხება მთავრობის ობლიგაციებს ევროპის ქვეყნებში, როგორიცაა იტალია და ესპანეთი, მხოლოდ ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ გარკვეული ინვესტიციები გააკეთონ. ინვესტიციური შესაძლებლობები შეიძლება იყოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფრასტრუქტურა და სამრეწველო პროექტები.

გასაგებია, რომ ჩინეთის ინტერესები მდგომარეობს ზუსტად უძრავი ქონების შეძენაში. გამორიცხული არ არის, რომ უზრუნველყოფილი იქნება გარკვეული ფინანსური დახმარება და გაიზრდება ჩინეთის წილი საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც ICB-თან ერთად "ეხმარება", რომ თავი დააღწიონ გამანადგურებელ ვალებს. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორი, ქრისტიან ლაგარდი მოუწოდებს, რომ გაზარდონ ამ ფონდის შესაძლებლობები 500 მლრდ. დოლარით. ამ თანხის არსებული ნაწილი შეიძლება, შეიტანონ ჩინეთში, რომელიც ფლობს ტრილიონობით სავალუტო რეზერვს. ამით კი ის "ერთი გასროლით ორ კურდღელს მოკლავს" და ამავე დროს გააძლიერებს საკუთარ გავლენას ძალზე მნიშვნელოვან საფინანსო ორგანიზაციაში. ყოველივე ამის შემდეგ კრიზისის გაღრმავება საფრთხეს შეუქმნის ჩინეთის ექსპორტს და ნებისმიერი წარმოების შემცირებას. ეს კი გამოიწვევს სოციალურ დაძაბულობას. ჩინეთის მხარემ განაცხადა, რომ მხარეები სტრატეგიული პარტნიორები არიან და ამიტომაც პარტნიორობა მათ საერთო ინტერესებში შედის (Nesterov, 2012). პროცესის შეუქცევადობა ცალსახაა, თუმცა სამომავლო პერსპექტივებზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია.

დასკვნა

ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობები გამოირჩევა მხარეების ინტერესების კომპლექსურობით. კრიზისის ფონზე ორივე მხარე ცდილობს, გაიუმჯობესოს პოზიცია ნაკლები დათმობების შედეგად. ცხადია, რომ მოცემული ორი აქტორი, ჩინეთისა და ევროკავშირის სახით, დღეს გადამწყვეტ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის კონფიგურაციაში, სწორედ მათი ეგიდით იცვლება, უმჯობესდება და ვითარდება მსოფლიო ბაზარი, საკითხები სცდება მხოლოდ ეკონომიკას და გადადის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გარემოს დაცვა. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ დღევანდელი მსოფლიო პროცესების ტენდენცია ჩინეთ-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელობას აჩვენებს. საქართველო ამ ურთიერთობებში ერთგვარი სატრანსპორტო არტერიის როლს შეასრულებს მას შემდეგ, რაც სრული ძალებით ამოქმედდება "ახალი აბრეშუმის გზის" პროექტი, რაც საქართველოსთვის "დიდი ნახტომის" პერსპექტივას ქმნის.

REFERENCES:

1. Bersick, S., Stokhof, W., & van der Velde, P. (2006). *Multiregionalism and Multilateralism. Asian-European Relations in Context.* Amsterdam: Amsterdam University Press.
2. Isakova, I. (2014, December 2). *USA, Russia, Eu - Who is the Real Friend of China?* Retrieved from inoCMI.ru: http://inosmi.ru/world/20090115/246696.html.
3. Nesterov, V. (2012, February 16). *Summit in China - EU in Beijing: Times have Changed*. Retrieved from Strategic Culture Foundation: 2012
4. Nosov, M. (2009). EU - China: On the Way to the Global Partnership. *Russian Journal*, 10.
5. Panova, A. (2012). China and European Union: Perspectives of the Economic Cooperation. *Faculty of International Relations*, 6-7.
6. Radio Liberty - Georgia. (2007, October 17). *The Project of China and the EU*. Retrieved from radiotavisufleba.ge: http://www.tavisupleba.org/a/1554853.html

7. Vorobyova, L. (2010, July 6). *Actual Problems of Developing of the EU*. Retrieved from riss.ru: .http://www.riss.ru/analitika/153-laquo-aktual-nye-problemy-razvitiya-evrosoyuza-raquo#.VH2ZD9KUdA1

THE RELATIONS BETWEEN CHINA AND THE EUROPEAN UNION

Amza Chargazia, Mariam Tlashadze,
Mariam Tsabadze, Levan Tlashadze, Nestan Jachvliani,
Bachelor Students at TSU

RESUME

The Relationship between China and European Union is a complex process with its global scale and it has a great impact on the economic, social and political processes worldwide. The meeting of the representatives from the high stage of politics and discussion about cooperation – this is the specific feature of this global phenomena. Apart from helping each other, both sides discuss the issues connected with protection of the environment, for example, reducing carbon emission and cleaning rivers from chemicals. The following interaction has a basic importance for not only the current situation, but for future perspectives too. Georgia is part of this big process and it makes this issue more interesting for us. Georgia, as a way between Europe and Asia, has a strategic meaning and the probability of getting profit out of this interaction is very high.

Keywords: China, European Union, International Monetary Fund, CIC, Debt, Summit.